დამტკიცებულია პარტნიორთა კრებაზე

ოქმი № 1/15. 7.09.2015

გენერალური დირექტორი: მ. კობახიძე

თბილისის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა,,ბინული“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(გ ა დ ა მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი)

2015 წელი

თბილისის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ,,ბინულის“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წინამდებარე დებულება დამუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, დამფუძნებლებთან შეთანხმების, დაწესებულების წესდებისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე. ამ დებულებით დადგენილია კერძო სამართლის იურიდიული პირის საერო სკოლა “ბინულის” სტატუსი.

მუხლი I. ზოგადი დებულებანი

1. საერო სკოლა “ბინული” არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობას; სკოლაში ხორციელდება უცხოური ენების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება, რაც საფუძველს ქმნის მოზარდის აღრეული პროფესიული განათლებისათვის. სკოლა უზრუნველყოფს სწავლებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას.
2. სკოლას აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.
3. სკოლა დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული და სპეციალური უფლება–უნარიანობის ფარგლებში დებს გარიგებებს.
4. სკოლას უფლება აქვს საკუთარი სახელით გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ.
5. მისამართი: თბილისი, ზოვრეთის ქ № 16, ტელ.2389986

მუხლი II. სკოლის დაფუძნება

1. სკოლა “ბინული” როგორც, კერძო სამართლის იურიდიული პირი, ფუძნდება და დებულებით გათვალისწინებულ უფლება–მოვალეობებს იძენს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. სკოლის დამფუძნებლები არიან:
   მარინა კობახიძე, დაბადებული 1960 წელს, უმაღლესი განათლებით, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი. მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, III მიკრორაიონი, კორ. 14, ბინა № 78. 59-61-63.
   თეონა აბრამიშვილი, დაბადებული 1978 წელს, უმაღლესი განათლებით, ექიმი კარდიოლოგი, მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანის ქ.11, ტელ: 599280725.
3. ურთიერთობა სკოლასა და დამფუძნებლებს შორის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულების და დაწესებულების წესდების შესაბამისად.
4. ურთიერთობა სკოლას, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის რეგულირდება დაწესებულების შინაგანაწესით.
5. სახელმწიფო ნიმუშის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე მოწმობის გაცემის უფლებას სკოლა იძენს სახელმწიფო აკრედიტაციის შემდეგ.
6. დაწესებულება ავტორიზაციასა და აკრედიტაციას გადის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი III. სკოლის ავტონომია

1. ექვემდებარება რა ამ დებულების შესაბამის დადგენილებებს, აგრეთვე დაწესებულების წესდებითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დადგენილებებს, სკოლა დამოუკიდებლად წყვეტს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სკოლას უფლება აქვს:

- დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკადრო საკითხი ამ დებულების, სკოლის შინაგანაწესისა და „ზოგადი განათლების შესახებ” კანონის სავალდებულო გათვალისწინებით;
- განსაზღვროს დაწესებულების ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის აუცილებელი დაცვის პირობით;
- სასწავლო პროგრამის განხორციელებისას თავად აირჩიოს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები;
- შექმნას არატრადიციული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებისა და პრაქტიკის ბაზაზე;
- დამოუკიდებლად დაამყაროს კავშირი სხვა საგანმანათლებლო (მათ შორის, უცხოეთის) დაწესებულებებთან;
- მონაწილეობა მიიღოს დონორი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში;
- თავად დააფინანსოს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები;

- დამოუკიდებლად აირჩიოს სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, ფორმები, საშუალებები და დამხმარე სახელმძღვანელოები;

- დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ფორმა, წესი და პერიოდულობა;
- მოიზიდოს დამატებითი დაფინანსების წყაროები, მათ შორის ნებაყოფლობითი შემოწირულობანი და მიზნობრივი შენატანები, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
- დამოუკიდებლად აწარმოოს შიგა ეკონომიკური, ფინანსური და სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ მიზნებს და არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას.

მუხლი IV. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სკოლის ძირითადი მისიაა:

- მოზარდის კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის ჰარმონიული და ეფექტური გარემოს შექმნა;
- მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება;
- მოსწავლეებში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის ფორმირება;
- მოზარდთა სულიერი განვითარება, სამოქალაქო და სამართლებრივი აღზრდა, დემოკრატიული ტრადიციების ჩამოყალიბება;
- მოზარდებში გარემომცველი სამყაროს, ქვეყნის, ოჯახის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გაღვივება და ჩამოყალიბება;
- მოსწავლეთა მომზადება საერთაშორის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

1. სკოლის საქმიანობა აგებულია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრინციპებზე, განათლების საერო ხასიათის, პიროვნების პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევის გათვალისწინებით.
2. სკოლაში ხორციელდება უცხოური ენებისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლება და ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლება, სწავლის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებით.
3. სკოლის განათლების ძირითადი შინაარსი დაფუძნებულია მოწინავე პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების ბაზაზე და ითვალისწინებს არატრადიციული საავტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური მასალების შექმნას.
4. სკოლის განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმატიკისა და კომპიუტერული განათლების სრულყოფა, საერთაშორისო დისტანციური სწავლების პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვა და შედეგად საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება; გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა.

მუხლი V. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა

სკოლა ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროგრამას განათლების სამ საფეხურზე:

– *I. საფეხური* (ელემენტარული) ითვალისწინებს მოსწავლეთა საერთო განვითარებას, მათში წერის, კითხვის, ანგარიშის, სწავლის ძირითადი ჩვევების, თვითშეფასების, ლოგიკო-მათემატიკური, ენობრივი და სხვა უნარების გამოვლენას; კულტურული ქცევისა და მეტყველების ჩამოყალიბებას, პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის აღზრდას.

I საფეხური წარმოადგენს საბაზისო განათლების მიღების საფუძველს.

– *II. საფეხური* (ძირითადი) ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ზოგადი, საბაზისო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, პიროვნების ფორმირებასა და ჩამოყალიბებას, მათი მიდრეკილებების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, სოციალურ და პროფესიულ თვითგამორკვევას.

II საფეხური წარმოადგენს საშუალო განათლების მიღების საფუძველს.

- *III. საფეხური* (საშუალო) ითვალისწინებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო კურსის ათვისებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი ინტერესების განვითარებას, დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის უნარების ფორმირებას დიფერენცირებული სწავლების საფუძველზე. (სავალდებულო დისციპლინების პარალელურად ინერგება არჩევითი დისციპლინების კურსი, მოსწავლეთა ინტერესების, მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მუხლი VI. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და მისი ორგანიზაცია

1. სკოლაში სწავლება ხორციელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, რომელშიც ასახულია დაწესებულების სტრატეგია.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ ზოგად უნივერსალურ განათლებას.
- ცალკეული საგნების გაღრმავებულ და პრიორიტეტულ დისციპლინებში დამატებითი კურსების სწავლებას;
- დამოუკიდებელი მუშაობისა და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას;

- განათლების უწყვეტობას, ადრეულ სპეციალიზაციასა და სწავლების მესამე საფეხურზე უმაღლეს სასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებას;

2. სკოლა მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, რომელიც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტთან ერთად მოიცავს დაწესებულების დამატებით საგანმანათლებლო კომპონენტებს.
3. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პიროვნულ–ინდივიდუალური მოდელით, რომელიც მოიაზრებს მოსწავლის ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებას.
4. განსაკუთრებული უნარით გამორჩეულ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ ინდივიდუალური პროგრამებით.
5. სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სკოლა შეიმუშავებს წლიურ სასწავლო სასკოლო გეგმას, სასწავლო პროგრამებს, კალენდარულ სასწავლო გრაფიკს და სასწავლო მეცადინეობათა ცხრილს;
6. სკოლაში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე;
7. სემესტრის განმავლობაში ცალკეულ დისციპლინებში კონკრეტული თემის შესწავლის შემდეგ, მოსწავლის ცოდნის შეფასების მიზნით, სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე დასაშვებია დიფერენციალური ჩათვლების დანიშვნა;
8. მოსწავლეები, რომლებმაც ვერ აითვისეს სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა, მომდევნო საფეხურზე არ დაიშვებიან;
9. სკოლის კლასებში მოსწავლეთა კონტიგენტი არ უნდა აღემატებოდეს ოცდაორ მოსწავლეს;
10. კლასები შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად უცხო ენების, ინფორმატიკის და ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე;
11. სკოლაში ფუნქციონირებს ცალკეულ დისციპლინათა საგნობრივი კათედრა, რომელიც ახორციელებს ინოვაციური სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდების, მეთოდიკებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შექმნას, აპრობაციასა და დანერგვას. მეთოდური სემინარების ორგანიზებას; მასწავლებელთა და მოსწავლეთა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების, საგნობრივი ოლიმპიადების და კონკურსების ჩატარებას; ამზადებს მასალებს გამოცდების, დიფ. ჩათვლებისა და ტესტირებისათვის;
12. სკოლაში სასწავლო წელი იწყება 10 სექტემბრის მომდევნო ორშაბათს და მთავრდება 10 ივნისის მომდევნო პარასკევს. სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება პირველ და მეთორმეტე კლასებში – 33-34 კვირით, მეორე-მეთერტმეტე კლასებში – 35-36 კვირით. დასვენებისა და არდადეგების დღეების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო წლის დასაწყისში, ისე რომ დაცული იქნას ზემოთ მოყვანილი ნორმა.
13. სკოლა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იღებს პასუხისმგებლობას:

I. დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში არსებული ფუნქციების შესრულებაზე.
II. საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებასა და გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა განათლების ხარისხზე.
III. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე.
IV. მოსწავლეების, მათი მშობლების და თანამშრომლების უფლებათა დაცვაზე.

მუხლი VII. მოსწავლეთა ჩარიცხვისა და გამოშვების წესი

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება სკოლის მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე.
2. I კლასში ჩაირიცხებიან მოსწავლეები, სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდათ ან უსრულდებათ 6 წელი და გაიარეს სკოლისათვის მზაობის დიაგნოსტიკური შემოწმება წარმატებით.
3. სკოლაში ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელი ეცნობა დაწესებულების დებულებას, შინაგანაწესს, საგანმანათლებლო პროგრამებს და სასწავლო გეგმას, რის შემდეგაც მასთან იდება ხელშეკრულება ორმხრივი ვალდებულების შესახებ.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელ მოწმობას მოსწავლე მიიღებს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მუხლი VIII. სკოლის მართვა

სკოლის მართვა ეფუძნება დემოკრატიულობის, გამჭვირვალეობის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების, ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვის, პიროვნების თავისუფალი განვითარების პრინციპებს.

პარტნიორთა კრება

დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრება იმართება, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ. კრებას იწვევს გენერალური დირექტორი.

1. პარტნიორთა კრება ამტკიცებს:
   - დაწესებულების განვითარების კონცეფციას, სტრატეგიულ გეგმებს, სასკოლო სასწავლო გეგმას;
   - დაწესებულების მართვის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს;
   - დაწესებულების დებულებას, შინაგანაწესს, დაწესებულების ბიუჯეტს.
   - შეღავათიანი სწავლების საფასურის პირობებს;
   - მოსწავლეთა სიას, რომელნიც სარგებლობენ შეღავათების უფლებით;
   - მოსწავლეთა და მასწავლებელთა ატესტაციის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს;
   - მოსწავლეთა სტიპენდიებისა და ფულადი ჯილდოების გაცემის პირობებს;

- ხელფასის განაკვეთს და სახელფასო ტარიფიკაციას.

2. ღებულობს გადაწყვეტილებას სკოლასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც გადის დირექტორის კომპეტენციის გარეთ;
3. ამტკიცებს დაწესებულებაში ადამიანური რესურსების შერჩევის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.

საზოგადოების გენერალური დირექტორი /დირექტორი

გენერალური დირექტორი და დირექტორი თანაბარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებენ საზოგადოების მართვას.

გენერალური დირექტორი/დირექტორი განკარგავს საზოგადოების ქონებას, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ხსნის ბანკში ანგარიშს, სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

იგი შეიმუშავებს და პარტნიორთა კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს:

- დაწესებულების განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას;
- დაწესებულების ბიუჯეტის პროექტს;
- დაწესებულების ფინანსურ ანგარიშს;
- დაწესებულების შინაგანაწესს;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს;
- საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მიმართულებებს;
- სასკოლო ატესტაციის ჩატარების პირობებსა და კრიტერიუმებს.
- ახდენს სკოლის ადმინისტრაციისა და სხვა მმართველობითი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინირებას და წარმოადგენს სკოლას სხვა პირებთან და ორგანოებთან ურთიერთობაში და მოქმედებს მისი სახელით.
- უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, რომელიც სავალდებულოა დაწესებულებაში მომსახურე ყველა პირისათვის;
- ამტკიცებს სასწავლო წლის კალენდარს, მასწავლებელთა კვირეულ დატვირთვას და გაკვეთილების ცხრილს;
- ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებს პედაგოგთა საქმიანობის კონტროლს, მათ შორის გაკვეთილებზე დასწრების, სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობის შემოწმების გზით;

პედაგოგიური საბჭო

სასწავლო–აღმზდელობითი პროცესის ორგანიზების, პედაგოგიური და მეთოდური საკითხების გადაწყვეტის, სწავლების ახალი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით სკოლაში მოქმედებს პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის პედაგოგიური კოლექტივის ყველა წევრი.

პედაგოგიურ საბჭოს იწვევს თავმჯდომარე (დირექტორი) და ნიშნავს მდივანს.

პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.

ადმინისტრაცია

სკოლის ადმინისტრაციის შემადგენლობა, დანიშვნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.

კონფერენცია

კონფერენცია მოიწვევა დაწესებულების დემოკრატიული მართვის სრულყოფის მიზნით;

იგი :

- ისმენს გასული წლის მუშაობის ანგარიშს;
- ექვსწლიანი და ერთწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტს;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარტნიორთა კრების, პედაგოგიური საბჭოს, ადმინისტრაციისა და დამფუძნებლების წინაშე.

კონფერენცია შედგება შემდეგი კატეგორიის წევრებისაგან:

- მოსწავლეთა მშობლები;
- დაწესებულების პედაგოგები;
- საზოგადოების წარმომადგენლები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები.

კონფერენციას იწვევს დირექტორი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე; სულ ცოტა წელიწადში ერთხელ.

მუხლი IX. სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა.

1. სკოლის ძირითადი დაფინანსების წყაროა სწავლების საფასური და მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსება.

2. სკოლის ქონების ფორმირებისა და დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:
- დამფუძნებლისგან მიღებული ქონება;
- ნებაყოფლობითი შემოწირულობები იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
- სამეწარმეო საქმიანობით შემოსული მოგება;
- აქციების, ფასიანი ქაღალდების და დეპოზიტების პროცენტული შემოსავალი;
- ბანკისა და სხვა ორგანიზაციების კრედიტები;
3. სკოლა დამოუკიდებლად აწარმოებს საფინანსო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიში;
4. სკოლა წარმოადგენს ფინანსური და მატერიალური საშუალებების მესაკუთრეს და განკარგავს შეხედულებისამებრ საწესდებო მიზნების დაცვით;
5. სკოლის მატერიალური და ფინანსური საშუალებები ჩამორთმევას არ ექვემდებარება;
6. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები რჩება სკოლის საკუთრებაში საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის;
7. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები დგინდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, საკვალიფიკაციო ცენზის გათვალისწინებით სასწავლო წლის დასაწყისში;
8. დაწესებულების სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება დაწესებულების მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას;
9. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა–ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს პარტნიორთა კრებას;
10. სკოლის ფინანსურ საქმიანობას, ბალანსის სისწორეს ამოწმებს დამფუძნებლის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტი;
11. აუდიტის ხარჯებს იხდის დამფუძნებელი.

მუხლი X. ურთიერთობა სკოლასა და მოსწავლეს, მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის

1. სკოლაში ჩარიცხვისას დაწესებულებისა და მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს:
– საგანმანათლებლო მომსახურების სახეები და მათი შესრულების პირობები;
– პასუხისმგებლობა რომელიც ეკისრება დაწესებულებას, მოსწავლეს და მოსწავლის მშობელს სკოლის დებულების, შინაგანაწესის და ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში;
2. სკოლა ვალდებულია შეუქმნას მოსწავლეებს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობები;
3. აკრძალულია მოსწავლეთა ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც არ არის განსაზღვრული სკოლის წესდებით;
4. მოსწავლეთა მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მოსწავლის უფლებათა დაცვა და მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში;

მუხლი XI. სკოლის მუშაკთა უფლება- მოვალეობები

1. სკოლის მუშაკთა უფლება- მოვალეობა, შესასრულებელი სამუშაო, ხელფასი და სამსახურის ვადა განისაზღვრება ამ დებულებისა და დაწესებულების შინაგანაწესის საფუძველზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
2. სკოლის მუშაკს უფლება აქვს ამ დებულებით, შინაგანაწესის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში მონაწილეობდეს დაწესებულების მართვაში;

მუხლი XII. სახელმწიფო კონტროლი

1. სკოლა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს „ზოგადი განათლების შესახებ “კანონისა და არსებული კანონმდებლობის საფუძველზე;
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე კონტროლი სრულდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებით სახელმწიფო გამოცდების ჩატარების გზით.

მუხლი XIII. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სკოლის რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საგანამანათლებლო დაწესებულების მიერ აღებულ ვალდებულებებს;
2. სკოლა შეიძლება ლიკვიდირებული იქნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შემთხვევაში დამფუძნებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადაყვანას სხვა შესაბამისი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმების საფუძველზე;
4. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კანონმდებლობის შესაბამისად.